

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის
ბრძანება №01-2/ნ**

2016 წლის 18 იანვარი ქ. თბილისი

**სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების
წესის შესახებ**

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20, 43-ე და 45-ე მუხლების, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 და 25-ე მუხლებისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის შესაბამისად, **გბრძანებ:**

1. სამედიცინო სტატისტიკაში ერთიანი ინფორმაციული სისტემის შექმნისა და შემდგომი სრულყოფის მიზნით, დამტკიცდეს:

ა) სამედიცინო (მ.შ. სამეცნიერო-კვლევითი) დაწესებულებების და რაიონული (ქალაქის) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების მიერ წარსადგენი უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების წლიური ფორმების ჩამონათვალი (დანართი №1), ფორმები (დანართი №2) და მათი წარდგენის ვადები (დანართი №3);

ბ) სამედიცინო (მ.შ. სამეცნიერო-კვლევითი) დაწესებულებების და რაიონული (ქალაქის) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების მიერ წარსადგენი უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების კვარტალური, ყოველთვიური და ელექტრონული ანგარიშგების ფორმების/რეგისტრების ჩამონათვალი (დანართი 4), კვარტალური და ყოველთვიური ფორმები და ელექტრონული ანგარიშგების ფორმები/რეგისტრები (დანართი №5) და მათი წარდგენის ვადები და წესი (დანართი №6);

გ) საქართველოში ინფექციურ დაავადებათა ეპიდზედამხედველობის და კონტროლის სააღრიცხვო და შეტყობინების ფორმები, მათი წარმოების და ანალიზის წესი და წარდგენის ვადები (დანართი №7).

2. სამედიცინო (მ.შ. სამეცნიერო-კვლევითი) დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, განურჩევლად მათი საკუთრების ფორმისა, ასევე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონულმა (ქალაქის) ცენტრებმა უზრუნველყონ:

ა) დაწესებულებების საქმიანობის შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და წარდგენა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომ ტექსტსა და დანართებში - სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისათვის (შემდგომ ტექსტსა და დანართებში - ცენტრი) სამედიცინო დაწესებულებების მიერ წარსადგენი უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების ანგარიშების თანდართული ჩამონათვალის, ფორმებისა და ვადების მიხედვით (დანართი №1-№6), როგორც ქალაქის მატარებელზე, ისე ელექტრონულად;

ბ) სამედიცინო (მ.შ. სამეცნიერო-კვლევითი) დაწესებულების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ სტატისტიკური ფორმების შევსებაზე უფლებამოსილი პირის/პირების განსაზღვრა და სტატისტიკური ანგარიშების მაქსიმალური სიზუსტით წარმოებაზე კონტროლის განხორციელება;

გ) ცენტრში დადგენილ ვადებში უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების ანგარიშების ჩასაბარებლად პასუხისმგებელ პირთა მივლინება.

3. ცენტრი უზრუნველყოფს:

ა) სამინისტროსა და სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში (საქსტატი) ნაერთი ანგარიშების წარდგენას დადგენილი წესის და ვადების მიხედვით;

ბ) სამედიცინო დაწესებულებებში სტატისტიკურ ანგარიშებზე პასუხისმგებელ პირთა კონსულტირებას და სათანადო მომზადებას მოთხოვნის შემთხვევაში.

4. ბრძანებით დამტკიცებული №1, №2, №3, №4, №5, №6 და №7 დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 23 მაისის №01-27/ნ ბრძანება.

6. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

დანართი №1 – სამედიცინო (მ.შ. სამეცნიერო-კვლევითი) დაწესებულებების და რაიონული (ქალაქის) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების მიერ წარსადგენი უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების წლიური ფორმების ჩამონათვალი:

1. სამედიცინო დაწესებულების ანგარიში (ფ. IV-01);
2. სოფლის ექიმის ანგარიში (ფ. IV-01/1);
3. 36 თვის წინ რეგისტრირებული რეზისტენტული ტუბერკულოზის შემთხვევების მკურნალობის შედეგების ანგარიში (ფ. IV-07);
4. ანგარიში ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებულთა შესახებ (ფ. IV-08);
5. ანგარიში ფსიქიკურ ავადმყოფთა შესახებ (ფ. IV-10);
6. ანგარიში ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობით დაავადებულ პირთა შესახებ (ფ. IV-11);
7. წამალდამოკიდებულების მკურნალობის ანგარიში (ფ. IV-11/1);
8. ანგარიში ჩიყვის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ (ფ. IV-12)
9. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისის მიმწოდებელი სუბიექტის ანგარიში (ფ. IV-13);
10. საწარმოო ტრანსფუზიოლოგიური სერვისის მიმწოდებელი სუბიექტის ანგარიში (ფ. IV-14)
11. ჯანდაცვის მართვის აპარატის და არასამკურნალო სამედიცინო დაწესებულებების ანგარიში (ფ. IV-15).
12. ანგარიში აივ ინფექციის / შიდსის შესახებ (ფ. IV-17).
13. სანატორიუმის ანგარიში (პანსიონატი მკურნალობით) (ფ. IV-18).

14. ჩვილ ბავშვთა სახლის ანგარიში (ფ. IV-21).

დანართი №2 - სამედიცინო (მ.შ. სამეცნიერო-კვლევითი) დაწესებულებების და რაიონული (ქალაქის) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების მიერ წარსადგენი უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების წლიური ფორმები:

დანართი №3 - სამედიცინო (მ.შ. სამეცნიერო-კვლევითი) დაწესებულებების და რაიონული (ქალაქის) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების მიერ წარსადგენი უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების წლიური ფორმების წარდგენის ვადები:

№	ავტ. რესპუბლიკების, ქალაქების, რაიონების და სამინისტროების დასახელებები	წარდგენის ვადები
1.	ამბროლაური, ლენტეხი, ონი, ცაგერი	20.01
2.	ახალგორი, დუშეთი, მცხეთა, თიანეთი, ყაზბეგი	22.01
3.	ქ. გორი, კასპი, ქარელი, ხაშური	25.01
4.	ლანჩხუთი, ოზურგეთი, ჩოხატაური	27.01
5.	ახმეტა, გურჯაანი, თელავი, დედოფლისწყარო,	29.01
	ააგარეჯო, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი	01.02
6.	ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ახალციხე, ბორჯომი, ნინოწმინდა	3.02
7.	ქ. რუსთავი, ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, წალკა, თეთრიწყარო, მარნეული	5.02
8.	ქ. ზუგდიდი, აბაშა, მარტვილი, სენაკი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, ხობი, ქ. ფოთი, ზემო სვანეთი	8.02
9.	ქ. ჭიათურა, ტყიბული, წყალტუბო, ბაგდათი, ხესტაფონი	10.02
	ქ. ქუთაისი, თერჯოლა, საჩხერე, სამტრედია, კანი, ხონი, ხარაგაული	12.02
10.	აფხაზეთის, აჭარის ა/რ	15.02
11.	ქ. თბილისი	12.02-18.02
	გლდან-ნამალადევი	12.02
	დიდუბე-ჩუღურეთი	15.02
	ვაკე-საბურთალო	16.02
	ისანი-სამგორი	17.02
	ძველი თბილისი	18.02
12.	თავდაცვის სამინისტრო	11.02
	შინაგან საქმეთა სამინისტრო	
	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	

დანართი №4 - სამედიცინო (მ.შ. სამეცნიერო-კვლევითი) დაწესებულებების და რაიონული (ქალაქის) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების მიერ წარსადგენი უწყებრივი სტატისტიკური კვარტალური, თვიური და ელექტრონული ანგარიშგების ფორმების/რეგისტრების ჩამონათვალი:

კვარტალური ფორმები:

ა) ტუბერკულოზის შემთხვევათა რეგისტრაციის ანგარიში (ფ. IV-07/1);

ბ) 12 თვის წინ რეგისტრირებული სენსიტიური ტუბერკულოზის შემთხვევების მკურნალობის შედეგების ანგარიში (ფ. IV-07/2).

ყოველთვიური ფორმები:

ა) სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების ანგარიში რეპროდუქციული მომსახურების შესახებ (ფ. IV-02);

ბ) ანგარიში ზოგიერთი დაავადების / მდგომარეობის შესახებ (ფ. IV-03);

გ) პროფილაქტიკური აცრების ანგარიში (ფ. IV-04);

დ) ანგარიში სქესობრივი გზით გადამდები, კანის სოკოვანი დაავადებების და მუნის შესახებ (ფ. IV-06).

ელექტრონული ანგარიშგების ფორმები/რეგისტრები:

ა) სტაციონარიდან გასული ავადმყოფის აღრიცხვის ფორმა (ელექტრონული მოდული) (ფ. IV-066);

ბ) ამბულატორული სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებაში რეგისტრირებული დაავადებების აღრიცხვის ფორმა (ფ. IV-025) (ელექტრონული მოდული);

გ) ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის რეგისტრი (ელექტრონული მოდული) (ფ. IV-20);

დ) კიბოს რეგისტრის ფორმა ონკოლოგიური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებებისათვის (ფ. IV-30);

ე) კიბოს რეგისტრის ფორმა პათოლოგიურ-ანატომიური ლაბორატორიებისათვის/ცენტრებისთვის (ფ. IV-30/1).

ვ) C ჰეპატიტის სკრინინგის აღრიცხვის ფორმა (ელექტრონული მოდული) (ფ. IV-16); (17.07.2017 N 01-45/6)

ზ) სისხლის დონაციებისა და ტრანსფუზიების აღრიცხვის ფორმა (ელექტრონული მოდული) (ფ. IV-14/1). (17.07.2017 N 01-45/6 ამოქმედდეს 2017 წლის 15 აგვისტოდან)

დანართი №5 - სამედიცინო (მ.შ. სამეცნიერო-კვლევითი) დაწესებულებების და რაიონული (ქალაქის) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების მიერ წარსადგენი უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების კვარტალური და ყოველთვიური და ელექტრონული ანგარიშგების ფორმები/რეგისტრები.

1. ელექტრონული ანგარიშგების ფორმები (ელექტრონული მოდულები) №IV-066 და №IV-025 განთავსებულია ინტერნეტში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის პორტალზე, ფინანსური აღრიცხვისა და მართვის კატეგორიაში: [ehealth.moh.gov.ge /reporting.gov.ge](http://ehealth.moh.gov.ge/reporting.gov.ge).

2. ელექტრონული ანგარიშგების „ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის რეგისტრი“ (ელექტრონული მოდული) განთავსებულია ინტერნეტში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის პორტალზე, ფინანსური აღრიცხვისა და მართვის კატეგორიაში: ehealth.moh.gov.ge /reporting.gov.ge.

3. ელექტრონული ანგარიშგების „C ჰეპატიტის სკრინინგის აღრიცხვის ფორმა“ (ელექტრონული მოდული) (ფ. IV-16) განთავსებულია ინტერნეტში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის პორტალზე, ფინანსური

აღრიცხვისა და მართვის კატეგორიაში: ehealth.moh.gov.ge. ((28.02.2018 N1-10/6 ამოქმედდეს 2018 წლის 1 მარტიდან)

4. ელექტრონული ანგარიშგების „სისხლის დონაციებისა და ტრანსფუზიების აღრიცხვის ფორმა (ელექტრონული მოდული) (ფ. IV-14/1) განთავსებულია ინტერნეტში, სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის პორტალზე, ფინანსური აღრიცხვისა და მართვის კატეგორიაში: ehealth.moh.gov.ge /reporting.gov.ge.22..3. № 6 დანართის: (17.07.2017 N 01-45/6)

დანართი №6 - სამედიცინო (მ.შ. სამეცნიერო-კვლევითი) დაწესებულებების და რაიონული (ქალაქის) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების მიერ წარსადგენი უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების კვარტალური, ყოველთვიური და ელექტრონული ანგარიშგების ფორმების /რეგისტრების წარდგენის ვადები და წესი

კვარტალური ფორმები:

ფორმის №	ფორმის დასახელება	წარდგენის ვადა (არაუგვიანეს)	წარდგენის ადგილი
		სამედიცინო დაწესებულება	
ფ. IV-07/1	ტუბერკულოზის შემთხვევათა რეგისტრაციის ანგარიში	მომდევნო კვარტლის პირველი თვის 3 რიცხვი	რაიონის (ქალაქის) სჯც
ფ. IV-07/2	12 თვის წინ რეგისტრირებული სენსიტიური ტუბერკულოზის შემთხვევების მკურნალობის შედეგების ანგარიში	რაიონული სჯც	
ფფ IV-07/1; IV-07/2	სამედიცინო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ყველა ანგარიშის ფორმა	მომდევნო კვარტლის პირველი თვის 10 რიცხვი	

ყოველთვიური ფორმები:

ფორმის №	ფორმის დასახელება	წარდგენის ვადა (არაუგვიანეს)	წარდგენის ადგილი
სამედიცინო დაწესებულება			
ფ. IV-02	სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების ანგარიში რეპროდუქციული მომსახურების შესახებ	მომდევნო თვის 3 რიცხვი	რაიონის (ქალაქის) სჯც
ფ. IV-06	ანგარიში სქესობრივი გზით გადამდები, კანის სოკოვანი დაავადებების და მუნის შესახებ	რაიონული სჯც	
ფ. IV-03	ანგარიში ზოგიერთი დაავადების / მდგომარეობის შესახებ	მომდევნო თვის 10 რიცხვი	დკსჯც
ფ. IV-02	ანგარიში რეპროდუქციული მომსახურების შესახებ		
ფ. IV-06	ანგარიში სქესობრივი გზით გადამდები, კანის სოკოვანი დაავადებების და მუნის შესახებ		
ფ. IV-04 /1.8	ანგარიში პროფილაქტიკური აცრების შესახებ	შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 19 ნოემბრის №01-57/6 ბრძანების შესაბამისად	დკსჯც
ფ. IV-04 /2.8	ჯამური ანგარიში პროფილაქტიკური აცრების შესახებ		

ელექტრონული ანგარიშგების ფორმები/რეგისტრები (28.02.2018 N1-10/6 ამოქმედდეს 2018 წლის 1 მარტიდან)

ფორმის №	ფორმის დასახელება	წარდგენის ვადა (არაუგვიანეს)	წარდგენის ადგილი
ფ. IV-066	სტაციონარიდან გასული ავადმყოფის აღრიცხვის ფორმა (ელექტრონული მოდული)	მომდევნო თვის 10 რიცხვისა	ცენტრი
ფ. IV-025	ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებაში რეგისტრირებული დაავადებების აღრიცხვის ფორმა (ელექტრონული მოდული)	მომდევნო თვის 10 რიცხვისა	ცენტრი
ფ. IV-30	კიბოს რეგისტრის ფორმა ონკოლოგიური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებებისათვის	მომდევნო თვის 10 რიცხვისა	ცენტრი
ფ. IV-30/1	კიბოს რეგისტრის ფორმა პათოლოგიურ-ანატომიური ლაბორატორიებისათვის/ ცენტრებისთვის	მომდევნო თვის 10 რიცხვისა	ცენტრი
ფ. IV-20	ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის რეგისტრი (ელექტრონული მოდული)	სამედიცინო მომსახურების გაწევიდან 24 საათის განმავლობაში	ცენტრი
ფ. IV-16	C ჰეპატიტის სკრინინგის აღრიცხვის ფორმა (ელექტრონული მოდული)	სამედიცინო მომსახურების გაწევიდან 24 საათის განმავლობაში	ცენტრი
ფ. IV-14/1	სისხლის დონაციებისა და ტრანსფუზიების აღრიცხვის ფორმა (ელექტრონული მოდული)	ყოველდღიურად დონაციასთან/ ტრანსფუზიასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებიდან 24 საათის განმავლობაში	ცენტრი

ონკოლოგიური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებების და პათოლოგიურ-ანატომიური ლაბორატორიების/ცენტრების მიერ წარსადგენი კიბოს რეგისტრის ფორმების წარმოების წესი

მუხლი 1. კიბოს რეგისტრის ფორმა №IV-30-ის წარმოების წესი

1. ონკოლოგიური სერვისების მიმწოდებელ დაწესებულებაში (სტაციონარული დაწესებულება, ამბულატორიული დაწესებულება) მომუშავე ექიმი-სპეციალისტები (კლინიკური ონკოლოგი, ონკოლოგი, ქიმიოთერაპევტი, ონკოქირურგი, ონკოგინეკოლოგი, ონკოუროლოგი, რადიაციული თერაპევტი, რადიოიზოტოპური გამოკვლევის სპეციალისტი) ვალდებული არიან, თითოეული ონკოლოგიური პაციენტის შესახებ, რომელსაც გაუწია სამედიცინო მომსახურება, შეავსოს კიბოს რეგისტრის ფორმა №IV-30 და მიაწოდოს ცენტრის სამედიცინო სტატისტიკის დეპარტამენტს. ახალწარმონაქმნები, რომლის შესახებაც უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, არის შემდეგი:

ა) ყველა ავთვისებიანი ახალწარმონაქმნი, რომელსაც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კლასიფიკატორის „დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია

ონკოლოგიაში (ICD-O)“ მიხედვით გააჩნია ქცევის კოდი 2, 3, 6 ან 9 (პრეინვაზიური, ავთვისებიანი, მეტასტაზური ან უცნობია პირველადია თუ მეტასტაზური);

ბ) ცენტრალური ნერვული სისტემის ყველა კეთილთვისებიანი სიმსივნე.

2. კიბოს რეგისტრის ფორმა №IV-30-ით შეტყობინებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

ა) პაციენტის სახელს, გვარს, პირად ნომერს, სქესს, საცხოვრებელი ადგილის მისამართს, დაბადების თარიღს, ასაკს, განათლებას, სამუშაო ადგილს, სკრინინგში მონაწილეობას;

ბ) პაციენტთან ბოლო კონტაქტის თარიღს, ჩატარებულ მკურნალობას, პაციენტის სტატუსს: ცოცხალი/გარდაცვლილი, გარდაცვალების შემთხვევაში - გარდაცვალების თარიღს;

გ) სიმსივნის შესახებ ინფორმაციას: დიაგნოზის დადგენის თარიღს, დიაგნოზის ტექსტუალურ აღწერილობას, რომელიც გააადვილებს ICD-O კოდის მინიჭების პროცესს, სიმსივნის ტოპოგრაფიას (ანატომიურ ადგილმდებარეობას), დაავადების კლასიფიკაციას TNM-ის მიხედვით, სტადიას დიაგნოზის დასმისას, ჰისტომორფოლოგიური დიაგნოზის ტექსტუალურ აღწერილობას, ქცევის თავისებურებებს, კიბოს უჯრედის დიფერენცირების ხარისხს, დიაგნოსტიკური დადასტურების მეთოდს და იმ ლაბორატორიის დასახელებას, სადაც მოხდა დიაგნოზის დადასტურება;

დ) იმ სამედიცინო დაწესებულების სრულ სახელწოდებას, რომელიც წარმოადგენს რეგისტრის ფორმას.

3. კიბოს რეგისტრის ფორმა №IV-30-ში ძირითადი დაავადების „დიაგნოზის“ და ჰისტომორფოლოგიის აღწერა უნდა განხორციელდეს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის „დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია ონკოლოგიაში (ICD-O)“ მიხედვით.

4. თითოეული შეტყობინება (კიბოს რეგისტრის ფორმა №IV-30) ცენტრს უნდა მიეწოდოს დანართი 6-ით განსაზღვრულ ვადაში „ქალაქის მატარებელზე“ და შეიცავდეს იმ ინფორმაციას, რომელიც მოცემულია ამ მუხლის მე-2 პუნქტში.

5. იმ პაციენტების შემთხვევაში, რომლებსაც ორი ან მეტი ლოკალიზაციის პირველადი ავთვისებიანი ახალწარმონაქმნი აღმოაჩნდებათ, კიბოს რეგისტრის ფორმა №IV-30 უნდა შეივსოს თითოეულ პირველად ავთვისებიან ახალწარმონაქმნზე ცალ-ცალკე.

6. არასწორად ან არასრულად წარმოდგენილი კიბოს რეგისტრის ფორმა №IV-30 უბრუნდება გამომგზავნ დაწესებულებას, რომელიც 30 დღის ვადაში ვალდებულია, შესწორებული ფორმა მიაწოდოს ცენტრს.

7. კიბოს რეგისტრის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაცია კონფიდენციალურია.

მუხლი 2. კიბოს პოპულაციური რეგისტრის ფორმა №IV-30/1 პათოლოგიურ-ანატომიური ლაბორატორიებისთვის/ცენტრებისთვის

1. ყველა პათოლოგიურ-ანატომიური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულების ექიმი-სპეციალისტი (ექიმი პათოლოგ ანატომი - კლინიკური პათოლოგი), რომელმაც დასვა ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზი, ვალდებულია, შეავსოს კიბოს რეგისტრის ფორმა №IV-30/1 პათოლოგიურ-ანატომიური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებებისათვის და მიაწოდოს ცენტრს.

2. კიბოს რეგისტრის ფორმა №IV-30/1-ით შეტყობინებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

- ა) პაციენტის პირად ნომერს, სახელს და გვარს, დაბადების თარიღს, სქესს;
- ბ) იმ პათოლოგიურ-ანატომიური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულების სრულ სახელწოდებას, რომელიც წარმოადგენს რეგისტრის ფორმას;
- გ) იმ დაწესებულების სახელწოდებას, სადაც განხორციელდა ოპერაცია/მანიპულაცია;
- დ) დიაგნოსტიკურ ინფორმაციას: ჰისტომორფოლოგიური დიაგნოზის ტექსტუალურ აღწერილობას, რომელიც გააადვილებს ICD-O კოდის მინიჭების პროცესს, კიბოს უჯრედის დიფერენცირების ხარისხს და დაავადების კლასიფიკაციას TNM-ის მიხედვით;
- ე) შევსებული ფორმა ცენტრს უნდა მიეწოდოს „ქალაქის მატარებელი“ №6 დანართში მითითებულ ვადებში.

მუხლი 3. ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის რეგისტრის (ელექტრონული მოდულის) წარმოების წესი (სათაური 17.07.2017 N 01-45/6)

1. ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის რეგისტრის (ელექტრონული მოდულის) (შემდგომში - მოდული) წარმოებაში ჩართული სუბიექტები არიან:

- ა) დედათა და ბავშვთა ამბულატორიული (მ.შ. ანტენატალური) სერვისის მიმწოდებელი სუბიექტები;
- ბ) სამეანო-გინეკოლოგიური (სამეანო, პერინატალური) სერვისის მიმწოდებელი სუბიექტები;
- გ) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) შესაბამისი სამსახურები (ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტი, საყოველთაო ჯანდაცვის დეპარტამენტი, შემდგომში - სოციალური მომსახურების სააგენტოს სამსახურები);
- დ) ცენტრი.

2. მოდულის წარმოებისას დედათა და ბავშვთა ამბულატორიული (მ.შ. ანტენატალური) სერვისის მიმწოდებელი სუბიექტი ვალდებულია:

- ა) ინფორმაცია ქალის ყოველი ახალი ორსულობის შესახებ, მიუხედავად ქალის მოქალაქეობრივი სტატუსისა, ორსულობის ვადის მითითებით, დაარეგისტრიროს მოდულში, რათა მოხდეს სააგენტოს ინფორმირება ქალის შესაბამის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის მიზნით;
- ბ) გადაამოწმოს სააგენტოს პასუხი ქალის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის თაობაზე;
- გ) ორსული ქალის მოქალაქეობრივი სტატუსის და შესაბამის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მიუხედავად, მისი ყველა შემდგომი ვიზიტი, დედის და ნაყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მითითებით, ასახოს მოდულში;

დ) მოდულში შეიტანოს ინფორმაცია აბორტის შესახებ (ხელოვნური აბორტის შემთხვევაში - მიზეზების/ჩვენებების, თვითნებითი აბორტისას - გამომწვევი მიზეზების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. მოდულის წარმოებისას სამეანო-გინეკოლოგიური (სამეანო, პერინატალური) სერვისის მიმწოდებელი სუბიექტი ვალდებულია:

ა) ინფორმაცია ქალის მშობიარობის (მ.შ. საკეისრო კვეთა) შესახებ, მიუხედავად ქალის მოქალაქეობრივი სტატუსისა, დაარეგისტრიროს მოდულში. ამასთან, მოდულში შეიტანოს ინფორმაცია დედისა და ახალშობილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

ბ) მოდულში შეიტანოს ინფორმაცია აბორტის შემთხვევების შესახებ (ხელოვნური აბორტის შემთხვევაში - მიზეზების/ჩვენებების, თვითნებითი აბორტისას - გამომწვევი მიზეზების მითითებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) ახალშობილის გარდაცვალების შემთხვევაში, მოდულში ასახოს ინფორმაცია გარდაცვალების ფაქტისა და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

4. მოდულის წარმოებისას სააგენტოს უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

5. მოდულში დარეგისტრირებული ინფორმაციის დამუშავება/ანალიზს უზრუნველყოფს ცენტრი.

6. სამედიცინო მომსახურების (დედათა და ბავშვთა ამბულატორიული (მ.შ. ანტენატალური), სამეანო-გინეკოლოგიური (სამეანო, პერინატალური)) მიმწოდებელი ვალდებულია, მოახდინოს ორსული/მელოგინე ქალის შესახებ ინფორმაციის მოდულში რეგისტრაცია, შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გაწევიდან 24 საათის განმავლობაში.

მუხლი 4. C ჰეპატიტის სკრინინგის აღრიცხვის ფორმის (ელექტრონული მოდულის) წარმოების წესი 17.07.2017 N 01-45/6)

1. C ჰეპატიტის სკრინინგის აღრიცხვის ფორმის (ელექტრონული მოდულის) (შემდგომში – მოდული) წარმოებაში ჩართული სუბიექტები არიან:

ა) ამბულატორიული და სტაციონარული სერვისის მიმწოდებელი სუბიექტები (მ.შ. ფიზიკური პირი სოფლის ექიმები/ექთნები და C ჰეპატიტის სკრინინგის მიმწოდებელი სხვა ტიპის დაწესებულებები);

ბ) საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი;

გ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური/საქალაქო სამსახურები;

დ) ცენტრის შესაბამისი სამსახურები; (28.02.2018 N1-10/5 ამოქმედდეს 2018 წლის 1 მარტიდან)

დ¹) რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრი (შემდგომში – ლუგარის ცენტრი); (28.02.2018 N1-10/5 ამოქმედდეს 2018 წლის 1 მარტიდან)

ე) საწარმოო ტრანსფუზიოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის მქონე სამედიცინო დაწესებულებები (შემდგომში – სისხლის ბანკები).

ვ) C ჰეპატიტის სკრინინგის მიმწოდებელი მაღალი რისკის ჯგუფებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები. (28.02.2018 N1-10/5 ამოქმედდეს 2018 წლის 1 მარტიდან)

1¹. მოდულში აღრიცხება ინფორმაცია ჩატარებული სკრინინგული და C ჰეპატიტის მკურნალობის დაწყებამდე საჭირო კონფირმაციული კვლევების (HCV რნმ პჯრ/ HCV core antigen) შედეგების შესახებ; (28.02.2018 N1-10/5 ამოქმედდეს 2018 წლის 1 მარტიდან)

2. მოდულის წარმოებისას ამავე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სერვისის მიმწოდებელი სუბიექტები, გარდა ლუგარის ცენტრისა, ვალდებული არიან: (28.02.2018 N1-10/5 ამოქმედდეს 2018 წლის 1 მარტიდან)

ა) მოდულში დაარეგისტრირონ ინფორმაცია C ჰეპატიტის სკრინინგის ჩატარების შესახებ;

ბ) სკრინინგით საექვო დადებით პირებს მიაწოდონ ინფორმაცია C ჰეპატიტზე შემდგომი ჩალრმავებული ლაბორატორიული კვლევების ჩატარების აუცილებლობაზე და C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობაზე;

გ) მოდულში აღრიცხონ ინფორმაცია მათ ბაზაზე ჩატარებული კონფირმაციული კვლევის შედეგების შესახებ.

2¹. ლუგარის ცენტრი ვალდებულია მოდულში შეიტანოს ინფორმაცია მის ბაზაზე ჩატარებული კონფირმაციული კვლევის შედეგების შესახებ. (28.02.2018 N1-10/5 ამოქმედდეს 2018 წლის 1 მარტიდან)

3. მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების მიზნით, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სერვისის მიმწოდებელი სუბიექტები, გარდა ლუგარის ცენტრისა, ასევე, ის სუბიექტები, რომლებიც ახორციელებდნენ C ჰეპატიტის სკრინინგს ამ ბრძანების ამოქმედებამდე, ვალდებული არიან, მოახდინონ C ჰეპატიტზე ჩატარებული სკრინინგის თაობაზე სხვადასხვა ელექტრონულ სისტემებში (მ.შ. დაწესებულებების დონეზე არსებული ლოკალური საინფორმაციო სისტემებიდან) არსებული/ხელმისაწვდომი მონაცემების ინტეგრირება მოდულში. (28.02.2018 N1-10/5 ამოქმედდეს 2018 წლის 1 მარტიდან)

4. მოდულში დარეგისტრირებული ინფორმაციის დამუშავება/ანალიზს უზრუნველყოფს ცენტრი.

5. C ჰეპატიტის სკრინინგის სერვისის მიმწოდებელი ვალდებულია, მოახდინოს ინფორმაციის მოდულში რეგისტრაცია, შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გაწევიდან არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში. (28.02.2018 N1-10/5 ამოქმედდეს 2018 წლის 1 მარტიდან)

მუხლი 5. სისხლის დონაციებისა და ტრანსფუზიების აღრიცხვის ფორმის (ელექტრონული მოდულის) წარმოების წესი 17.07.2017 N 01-45/6)

1. სისხლის დონაციებისა და ტრანსფუზიების აღრიცხვის ფორმის (ელექტრონული მოდულის) (შემდგომში – მოდული) წარმოებაში ჩართული სუბიექტები არიან:

ა) სამედიცინო სერვისის მიმწოდებელი სუბიექტები (შემდგომში – სამედიცინო დაწესებულებები), სადაც ხორციელდება სისხლისა და სისხლის კომპონენტების ტრანსფუზია;

ბ) სისხლის ბანკები;

გ) ცენტრის შესაბამისი სამსახურები.

2. მოდულის წარმოებისას სამედიცინო დაწესებულებები ვალდებული არიან მოდულში დაარეგისტრირონ:

ა) სისხლისა და სისხლის კომპონენტების მიღების თარიღი და ზუსტი დრო (საათისა და წუთის მითითებით);

ბ) ტრანსპორტირების (თუ ეს ხორციელდება სამედიცინო დაწესებულების მიერ), სამედიცინო დაწესებულებაში მიღების და შენახვის პერიოდში „ცივი ჯაჭვის“ პირობების ტემპერატურული ყოველდღიური მონიტორინგის შედეგები;

გ) სისხლისა და სისხლის კომპონენტების რეციპიენტის პირადი მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი), ტრანსფუზიის თარიღი და ზუსტი დრო (საათისა და წუთის მითითებით);

დ) ვადის ან/და სხვა მიზეზით გაუვარგისების გამო სისხლისა და სისხლის კომპონენტების განადგურების თარიღი და ზუსტი დრო (საათისა და წუთის მითითებით);

ე) სხვა სამედიცინო დაწესებულებისათვის სისხლის კომპონენტის გადაცემის ან სისხლის ბანკისათვის სისხლის კომპონენტის დაბრუნების მიზეზი და დრო.

3. მოდულის წარმოებისას სისხლის ბანკები ვალდებული არიან, მოდულში დაარეგისტრირონ/შეავსონ:

ა) დონორის პირადი მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) და სტატუსი (უანგარო, ნათესავი, ანაზღაურებადი);

ბ) დონორის ბარათის ნომერი;

გ) დონორის სელექციისათვის მოდულში არსებული კითხვარი;

დ) დონორის პირველადი ლაბორატორიული (ფენოტიპის განსაზღვრა ABO და რეზუს სისტემითა და სისხლში ჰემოგლობინის შემცველობის დადგენა) და სამედიცინო გამოკვლევის შედეგები;

ე) დონორის სისხლის აღების თარიღი და ზუსტი დრო (საათისა და წუთის მითითებით);

ვ) დონორის სისხლის B და C ჰეპატიტებზე და აივ-ინფექცია/შიდსზე იმუნოფერმენტული (ან უფრო მაღალტექნოლოგიური), ხოლო სიფილისზე ჰემაგლუტინაციის მეთოდით (TPHA) კვლევის შედეგები;

ზ) დონაციისათვის, ლაბორატორიული დიაგნოსტიკისათვის, სისხლისა და სისხლის კომპონენტების დამზადებისათვის გამოყენებული ფარმაცევტული პროდუქტების დეტალური მონაცემები (მწარმოებელი ქვეყანა/კომპანია, ზომის ერთეული, გამოშვების თარიღი, სერია/ნომერი, მგრძობელობა/სენსიტიურობა, ვარგისიანობის ბოლო თარიღი);

თ) დონორის სისხლიდან დამზადებული სისხლისა და სისხლის კომპონენტების დასახელება, დამზადების თარიღი და ზუსტი დრო (საათისა და წუთის მითითებით), კომპონენტების მოცულობების, მაიდენტიფიცირებელი ნომრების და ვარგისიანობის ვადების მითითებით;

ი) დამზადებული სისხლისა და სისხლის კომპონენტების შენახვის „ცივი ჯაჭვის“ დაცვის ტემპერატურული რეჟიმის ყოველდღიური მონიტორინგის შედეგები;

კ) სამედიცინო დაწესებულებებისათვის მიწოდებული სისხლისა და სისხლის კომპონენტების დასახელებები, მოცულობები, მაიდენტიფიცირებელი ნომრები, ვარგისიანობის ვადები, მიწოდების თარიღი და ზუსტი დრო (საათისა და წუთის მითითებით);

ლ) სამედიცინო დაწესებულებებში სისხლისა და სისხლის კომპონენტების ტრანსპორტირების შემთხვევაში, ტრანსპორტირების დაწყების ზუსტი დრო და სატრანსპორტო ყუთში ტემპერატურული მონიტორინგის შედეგი.

4. სისხლის ბანკები და სამედიცინო დაწესებულებები ვალდებული არიან, მოახდინონ ინფორმაციის მოდულში რეგისტრაცია ყოველდღიურად, ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებიდან არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში.

დანართი №7 - საქართველოში ინფექციურ დაავადებათა ეპიდზედამხედველობის და კონტროლის სააღრიცხვო და შეტყობინების ფორმები, მათი წარმოების და ანალიზის წესი და წარდგენის ვადები

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

ინფექციურ დაავადებათა მართვის ეფექტურობა დამოკიდებულია ეპიდზედამხედველობის სისტემის ფუნქციონირებაზე. ეპიდზედამხედველობის სისტემა მოიცავს: შემთხვევათა/ეპიდაფეთქებათა გამოვლენას, რეგისტრაციას, კვლევას, დადასტურებას, მონაცემთა ანგარიშგებას, ანალიზს, საპასუხო რეაგირებასა და მზადყოფნასთან დაკავშირებულ ქმედებებს, უკუკავშირსა და კომუნიკაციას.

თავი II. ინფექციურ დაავადებათა შემთხვევების გამოვლენა და რეგისტრაცია

მუხლი 2. შემთხვევათა გამოვლენა

1. ეპიდზედამხედველობის სისტემა უნდა იყოს საკმარისად ზუსტი და მოახდინოს კონკრეტული დაავადების ყველა შემთხვევის სწორი იდენტიფიცირება.

2. 2014 წელს ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოს ეპიდზედამხედველობის სისტემის სიზუსტე დაახლოებით 60%-ია, რაც იმას ნიშნავს, რომ შემთხვევების დაახლოებით 40% არ ხვდება ეპიდზედამხედველობის სისტემაში. ეს მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის მიერ ინფექციური დაავადების/მდგომარეობების წარმატებული კონტროლისა და აღმოფხვრისაკენ მიმართულ ძალისხმევას, რომელმაც უნდა გააუმჯობესოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა და შეამციროს ავადობასა და სიკვდილიანობასთან დაკავშირებული დანახარჯები.

მუხლი 3. სამედიცინო დაწესებულებათა მოვალეობანი ინფექციურ დაავადებათა გამოვლენაში

სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინფექციური დაავადების მქონე თითოეული პაციენტის, რომელიც მიმართავს დაწესებულებას ან ხვდება დაწესებულების სამიზნე ტერიტორიაზე, კონსულტაცია (გასინჯვა);

ბ) საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს ინფექციურ დაავადებათა შემთხვევების ლაბორატორიული კვლევა, არსებული წესების შესაბამისად;

გ) დანიშნოს შესაბამისი მკურნალობის კურსი ინფექციური დაავადების მქონე თითოეული პაციენტისთვის;

დ) საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს პაციენტების რეფერალი შესაბამისი დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მიზნით;

ე) აღრიცხოს ინფექციური დაავადების ყველა შემთხვევა, მიუხედავად იმისა, პაციენტი მიმართავს კერძო პრაქტიკის მქონე ექიმს, დაწესებულებას, თუ გამოვლინდება დაწესებულების სამიზნე ტერიტორიაზე;

ვ) სამიზნე ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას მიაწოდოს ინფორმაცია ინფექციური დაავადებების შემთხვევების დაუყოვნებელი შეტყობინების მნიშვნელობის, მკურნალობის მოსალოდნელი რისკისა და პოტენციური უპირატესობების შესახებ;

ზ) დადგენილი წესით განახორციელოს შეტყობინება შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადებების/მდგომარეობების თითოეული და/ან ჯგუფური შემთხვევის შესახებ; უზრუნველყოს ინფექციური დაავადებების შესახებ ანგარიშგება დადგენილი წესის შესაბამისად მომზადება და წარდგენა;

თ) ხელი შეუწყოს და დაეხმაროს მუნიციპალიტეტის/რეგიონის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ცენტრის მიერ ჩატარებულ ნებისმიერ ღონისძიებას, რომელიც ტარდება შემთხვევათა/ეპიდაფეთქებების გამოკვლევის და კონტროლის დროს დაწესებულების სამიზნე ტერიტორიაზე;

ი) ინფექციური დაავადების ეპიდემიის შემთხვევაში უზრუნველყოს დადგენილი წესებისა და მოთხოვნების შესრულება.

მუხლი 4. ინფექციური დაავადების რეგისტრაცია სამედიცინო დაწესებულებაში (ჟურნალი №60/A)

1. ინფექციურ დაავადებათა ყველა შემთხვევა, რომელიც კლინიკურად დიაგნოსტირებული ან ლაბორატორიულად დადასტურებულია, ან გამოვლენილია პაციენტის მიმართვისას მკურნალობის თუ კონსულტაციის მისაღებად (მიუხედავად იმისა ექვემდებარება თუ არა შეტყობინებას) უნდა დარეგისტრირდეს აღრიცხვის სტანდარტულ 60/A ჟურნალში. შესაგროვებელი ინფორმაციის სახე განსაზღვრულია ჟურნალის შესაბამისი გრაფებით.

2. 60/A ჟურნალი ასევე გამოიყენება 15-49 წლის ქალისა და 0-5 წლის ბავშვის ნებისმიერი მიზეზით სიკვდილის ყველა შემთხვევის, მწვავე კვებითი, პროფესიული და სხვა მოშხამების, სხივური დაზიანებების, აღრიცხვას დაქვემდებარებული პოსტვაქცინალური გართულებების შემთხვევათა რეგისტრაციისათვის.

3. ჟურნალი 60/A წარმოადგენს ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტში აღნიშნული დაავადებების რეგისტრაციის ოფიციალურ ფორმას, გამოიყენება ანგარიშების მომზადებისა და ეპიდაფეთქებების კვლევისათვის და ინახება სამედიცინო დაწესებულებაში 5 წლის განმავლობაში.

4. შესაძლებელია 60/A ჟურნალის წარმოება ხორციელდებოდეს ელექტრონული ფორმით.

5. 60/A ჟურნალის ყველა ველი უნდა შეივსოს სწორად და გარკვევით:

№	ს.გ.ს.	გ.ს.ს.	ს.ს.	მის.ს.	სამუშაო ადგილი/სასწავლებელი	დაავადების დაწყების თარიღი	მიმართვის / ჰოსპიტალიზაციის თარიღი	წინასწარი დიაგნოზის თარიღი	წინასწარი დიაგნოზის თარიღი	საბოლოო დიაგნოზის თარიღი	საბოლოო დიაგნოზის თარიღი	გამოსავალი	შემთხვევის გამომწვევი პირი	შეტყობინება გადაეცა (დაწესებულების დასახელება) და გადაცემის მეთოდი	გადაცემის თარიღი და დრო	შეტყობინების მიმღები პირი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18

- ა) პირველ ველში იწერება შემთხვევის რიგითი ნომერი (ქრონოლოგიურად);
- ბ) მე-2 ველში მიეთითება პაციენტის სახელი, გვარი, მამის სახელი სრულად;
- გ) მე-3 ველში მიეთითება პაციენტის ასაკის (15 წლამდე ასაკის პაციენტთათვის მიუთითეთ დაბადების წელი, თვე და რიცხვი) მისათითებლად;
- დ) მე-4 ველში ფიქსირდება პაციენტის სქესი;
- ე) მე-5 ველში ფიქსირდება პაციენტის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი;
- ვ) მე-6 ველში მიეთითება პაციენტის სამუშაო ადგილი/სასწავლებელი ან სხვა, სტატუსი (მაგ.:უმუშევარი, მოსამსახურე, ფიქსირებული სამუშაო ადგილის გარეშე და სხვ.), შესაბამისი სამსახურის, სასწავლებლის, სკოლის, სკოლამდელი დაწესებულების დასახელება;
- ზ) მე-7 ველი განკუთვნილია დაავადების დაწყების თარიღის დასაფიქსირებლად, მიუთითეთ ზუსტი (თუ შესაძლებელია) თარიღი (რიცხვი, თვე), რომელსაც პაციენტი მიიჩნევს დაავადების დასაწყისად;
- თ) მე-8 ველში მიუთითეთ პაციენტის ამ დაწესებულებაში პირველი მომართვის/ჰოსპიტალიზაციის თარიღი;
- ი) მე-9 ველში ფიქსირდება წინასწარი დიაგნოზი;
- კ) მე-10 ველში ფიქსირდება წინასწარი დიაგნოზის თარიღი;
- ლ) მე-11 ველი განკუთვნილია საბოლოო დიაგნოზის დასაფიქსირებლად (თუ განსხვავდება წინასწარი დიაგნოზისგან);
- მ) მე-12 ველში იწერება საბოლოო დიაგნოზის თარიღი (თუ განსხვავდება წინასწარი დიაგნოზის თარიღისგან);
- ნ) მე-13 ველში იწერება გამოსავალი - ივსება დაავადების დასრულების/პაციენტის გაწერის/გარდაცვალების შემდეგ რიცხვის, თვის და წლის მითითებით;
- ო) მე-14 ველში მიუთითეთ იმ ექიმის სახელი და გვარი, რომელმაც გამოავლინა შემთხვევა და დასვა დიაგნოზი;
- პ) მე-15 ველში მიუთითეთ შეტყობინების გადაცემის ადგილი და საშუალება (ფორმა 58/1, ტელეფონოგრამა, ელ-ფოსტა და სხვა);
- ჟ) მე-16 ველში მიუთითეთ შეტყობინების გადაცემის თარიღი და დრო;
- რ) მე-17 ველში დააფიქსირეთ შეტყობინების მიმღები პირის გვარი და სახელი სრულად;
- ს) მე-18 ველში აღნიშნეთ ყველა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც გააადვილებს შემთხვევის კვლევას, მართვას და რომელსაც საჭიროდ თვლით აღნიშნულ სიტუაციასთან დაკავშირებით.

მუხლი 5. სასწრაფო შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადების/მდგომარეობის რეგისტრაცია საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში (ჟურნალი - №60/B)

1. ინფექციურ დაავადებათა/მდგომარეობათა ყველა შემთხვევა, რომელიც კლინიკურად არის დიაგნოსტირებული ან/და ლაბორატორიულად არის დადასტურებული, ან გამოვლენილია სამოქმედო ტერიტორიაზე, აგრეთვე, 15-49 წლის ქალის და 0-5 წლის ბავშვის ნებისმიერი მიზეზით სიკვდილის ყველა შემთხვევა (მიუხედავად იმისა ვის მიერაა გამოვლენილი) ექვემდებარება სასწრაფო შეტყობინებას და მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის (შემდგომში - სჯც) მიერ

რეგისტრირდება დაავადებათა ეპიდზედამხედველობის ინტეგრირებული ელექტრონული სისტემის (დზეის) მონაცემთა ბაზაში.

2. დზეის მოიცავს თითოეული შემთხვევისათვის საიდენტიფიკაციო კოდით ურთიერთდაკავშირებულ ეპიდემიოლოგიურ და ლაბორატორიულ მონაცემებს. მონაცემთა ბაზაში კვლევის მონაცემები შეაქვს შესაბამისი პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურის თანამშრომელს.

3. შეტანილი ინფორმაცია ინახება დზეის-ის ბაზის ჟურნალ 60/B-ში და წარმოადგენს სასწრაფო შეტყობინებას დაქვემდებარებული ინფექციური დაავადებების რეგისტრაციის ოფიციალურ ფორმას. 60/B ჟურნალი გამოიყენება ანგარიშების მომზადებისა და ეპიდაფეთქებების კვლევისთვის.

4. 60/B ჟურნალის ველებია:

№	ს. გ.მ.	ასაკი	სქესი	მისამართი	სამუშაო ადგილი /სასწავლებელი	დაავადების დაწყების თარიღი	სამ. დაწესებულებაში პირველი მიმართვის თარიღი	გამომგზავნი დაწესებულება და კომუნიკაციის საშუალება	წინასწარი დიაგნოზი	წინასწარი დიაგნოზის დასმის თარიღი	სპეციფიკური მკურნალობის დაწყების თარიღი	ლაბ. კვლევისათვის მასალის აღების თარიღი	ლაბ. კვლევის შედეგი და თარიღი	იმუნიზაციის სტატუსი	ეპიდ. კვლევის დაწყების თარიღი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16

გაგრძელება

საბოლოო დიაგნოზი	საბოლოო კლასიფიკაცია: კლინიკური ან დადასტურებული	საბოლოო დიაგნოზის დასმის თარიღი	გამოსავალი	შეტყობინება გადაეცა (დაწესებულების დასახელება) და გადაცემის მეთოდი	შეტყობინების გაგზავნის თარიღი და დრო	შეტყობინების მიმღები პირი	შემთხვევის / კერის სტატუსი	შენიშვნა
17	18	19	20	21	22	23	24	25

მუხლი 6. დაავადების/მდგომარეობის აგრეგირებული შემთხვევების რეგისტრაცია საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში

1. დაავადებათა/მდგომარეობათა აგრეგირებული შემთხვევები (დაავადებები/მდგომარეობები, რომლებიც არ ექვემდებარება სასწრაფო შეტყობინებას), რომლებიც დიაგნოსტირებულია კლინიკურად ან/და დადასტურებულია ლაბორატორიულად, ან გამოვლენილია სამოქმედო ტერიტორიაზე (მიუხედავად იმისა ვის მიერაა გამოვლენილი), ექვემდებარება ჯამურ შეტყობინებას ყოველთვიურად და მუნიციპალური სჯც-ს მიერ რეგისტრირდება დზეის მონაცემთა ბაზაში ადამიანთა დაავადებების აგრეგირებული შემთხვევის მონაცემების ფორმა- H06-ში.

2. ფორმა-H06 მოიცავს ყოველთვიურ ჯამურ ინფორმაციას ასაკობრივი ჯგუფების, გამოსავალის, ლაბორატორიული ტესტირებისა და დადასტურების მიხედვით. მონაცემთა ბაზაში კვლევის მონაცემები შეაქვს შესაბამისი პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურის თანამშრომელს.

მუხლი 7. შემთხვევის განმარტება / შემთხვევის დადასტურება და კლასიფიკაცია

1. ეპიდზედამხედველობის სისტემის მონაცემების სარგებლიანობა დამოკიდებულია მათ ერთიან ფორმატზე, სიმარტივესა და დროულობაზე. ცენტრალური და მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის პერსონალი დაავადებათა გავრცელების შესახებ ინფორმაციას იყენებს ტენდენციების ზუსტი განსაზღვრის, გადაწყვეტილებების მიღების, ქმედებების ეფექტურობის შეფასების მიზნით. ინფექციური დაავადებების/მდგომარეობების

შემთხვევათა განსაზღვრებები წარმოადგენს მათი დადასტურებისა და კლასიფიკაციის ერთიან კრიტერიუმებს, რომლებიც საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურმა და ცალკეულმა დაწესებულებამ უნდა გამოიყენონ ეპიდზედამხედველობის მიზნებისათვის.

2. შემთხვევათა განსაზღვრებებს, მათი დადასტურებისა და კლასიფიკაციის კრიტერიუმებს განსაზღვრავს და არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით განაახლებს ცენტრი.

3. სჯც-ის შესაბამისი პასუხისმგებელი თანამშრომლების მიერ შემთხვევათა კლასიფიცირება უნდა მოხდეს 3 კატეგორიად: **შესაძლო, სავარაუდო** (კლინიკური) და **დადასტურებული**, რომლებიც განისაზღვრება სამედიცინო დაწესებულებიდან მიღებული ანგარიშის/შეტყობინების საფუძველზე (გამოყენებული უნდა იყოს ერთსა და იმავე შემთხვევაზე ბოლო შეტყობინება) და ითვალისწინებს ამ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებულ ლაბორატორიულ და ეპიდემიოლოგიურ მონაცემებს.

4. შემთხვევათა შეტყობინება (მ.შ. განმეორებითი)/ანგარიშგება, ეპიდემიოლოგიური და ლაბორატორიული კვლევის შედეგები სჯც-ის სამსახურის მუშაკებისათვის იძლევა შემთხვევათა საბოლოო კლასიფიცირების ან მისი გადახედვის საშუალებას.

5. სასწრაფო შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადებები რეგისტრირდება დზეის-ში ადამიანის დაავადების აღრიცხვის ფორმა H02 და ველში - „შემთხვევის საბოლოო კლასიფიკაცია და გამოსავალი“, აქ დაფიქსირებული შედეგი ავტომატურად აისახება 60/B ჟურნალის მე-18 ველში.

6. აგრეგირებული შემთხვევების საბოლოო კლასიფიკაცია განისაზღვრება სამედიცინო დაწესებულებებიდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე. დზეის-ში ადამიანის დაავადებების აგრეგირებული შემთხვევის რეგისტრაცია ხორციელდება ფორმა H06-ს საშუალებით.

7. **შესაძლო შემთხვევა** - ნებისმიერი შემთხვევა, რომლის კლინიკური სიმპტომები ემთხვევა/ შეესაბამება შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადების აღწერილობას, ანუ შემთხვევა, რომელსაც აქვს დაავადებასთან ასოცირებული ტიპური კლინიკური სურათი. შესაძლო შემთხვევის განსაზღვრება ეხმარება სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს, მიაკუთვნოს ესა თუ ის კონკრეტული შემთხვევა შეტყობინებას დაქვემდებარებულ დაავადებას.

8. **სავარაუდო შემთხვევა** – შემთხვევა, რომელსაც ახასიათებს დაავადებასთან ასოცირებული ტიპური კლინიკური სურათი და ეპიდემიოლოგიური კავშირი დადასტურებულ შემთხვევასთან, ან სკრინინგული ლაბორატორიული ტესტირების დადებითი შედეგი.

9. **სავარაუდო (კლინიკური) შემთხვევა** – ნებისმიერი შემთხვევა, რომლის კლინიკური სიმპტომები ემთხვევა/შეესაბამება შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადების აღწერას და ეპიდზედამხედველობის სისტემაში შესაძლო შემთხვევის კატეგორიად კლასიფიცირება არაა შესაძლებელი.

10. **დადასტურებული შემთხვევა** - შემთხვევა, რომელსაც აქვს დაავადებასთან ასოცირებული ტიპური კლინიკური სურათი და დადებითი ლაბორატორიული შედეგი, მიღებული იმ მეთოდით, რომელიც განსაზღვრულია შემთხვევათა განსაზღვრებების დადასტურების კლასიფიკაციის კრიტერიუმით (მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი).

11. **ეპიდემიოლოგიური კავშირი** - განისაზღვრება, როგორც ახლო კონტაქტი კონკრეტული დაავადების გადაცემის მექანიზმისა და გადამდებლობის ვადების სპეციფიკურობის გათვალისწინებით.

12. **ეპიდემიოლოგიური დადასტურება** - ეპიდზედამხედველობის სისტემაში გამოიყენება მხოლოდ ზოგიერთი ნოზოლოგიისთვის საბოლოო კლასიფიკაციის დროს და განისაზღვრება, როგორც ახლო კონტაქტი კონკრეტული დაავადების გადაცემის მექანიზმისა და გადამდებლობის ვადების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ლაბორატორიულად დადასტურებულ შემთხვევასთან.

13. ზოგიერთი დაავადებისათვის საბოლოო კლასიფიკაცია- დადასტურებული შემთხვევა - არ გამოიყენება, ვინაიდან არ არსებობს ლაბორატორიული ტესტი და/ან ეპიდ. კავშირი (მაგ. ტეტანუსი).

14. **უკუგდებული შემთხვევა** - შემთხვევა, რომელიც არ ემთხვევა სასწრაფო შეტყობინებას დაქვემდებარებულ დაავადებათა სპეციფიკურ-კლინიკურ აღწერილობას და არ დასტურდება არც ლაბორატორიული ტესტებით და არც ეპიდემიოლოგიურად. ეპიდზედამხედველობის მიზნებისა და სამედიცინო სტატისტიკისათვის უკუგდებული უნდა იქნეს შემთხვევა დაწესებულებიდან უკვე შეტყობინებული შემთხვევის შეცვლილი დიაგნოზის ახალი სასწრაფო შეტყობინების ბარათის მიღების საფუძველზე (მიუხედავად იმისა, ახალი დიაგნოზი ინფექციურია თუარა).

15. შემთხვევათა კლასიფიკაციის კატეგორიები ეპიდზედამხედველობის სისტემის მიერ გამოიყენება, რათა:

ა) განხორციელდეს სჯც-ის გრძელვადიანი ინტერვენცია (მაგ.: პოლიტიკის შეცვლა, მასობრივი კამპანიები, დაავადებათა აღმოფხვრისაკენ მიმართული სტრატეგიების შემუშავება და ა. შ.);

ბ) შეაფასდეს დაავადებათა აღმოფხვრისკენ მიმართულ ძალისხმევათა წარმატება;

გ) შეაფასდეს ეპიდზედამხედველობის სისტემის სრულყოფის/განვითარების დონე სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულსა თუ დაწესებულებაში;

დ) დაიგეგმოს ეპიდზედამხედველობის/ლაბორატორიული სისტემის გაძლიერებისკენ მიმართული ქმედებები.

16. შეტყობინებას დაქვემდებარებულ დაავადებაზე/მდგომარეობაზე ეჭვის მიტანისას ექიმმა უნდა შეატყობინოს მუნიციპალურ სჯც-ს სამსახურს, რომელმაც (საჭიროების მიხედვით) უნდა უხელმძღვანელოს შემთხვევის/პოტენციური აფეთქების კვლევას და მიიღოს შესაბამისი ზომები.

შენიშვნა. მკურნალობის დაწყება და მისი სპეციფიკა არის **წმინდა კლინიკური გადაწყვეტილება**, რომელიც ჩვეულებრივ წინასწარი დიაგნოზის დასმის შემდეგ მიიღება. ეს გადაწყვეტილება არ არის დამოკიდებული პაციენტის სიმპტომების შესაბამისობაზე ეპიდზედამხედველობისათვის შემუშავებულ განმარტებებთან/ შემთხვევათა აღწერილობებთან.

მუხლი 8. შეტყობინება და ანგარიშგება

1. ეპიდზედამხედველობისა და საპასუხო რეაგირების თვალსაზრისით შეტყობინებას დაქვემდებარებული ყველა დაავადება/მდგომარეობა იყოფა 2 ძირითად ჯგუფად:

ა) სასწრაფო შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადებების/მდგომარეობების ერთეული შემთხვევები და ეპიდემიოლოგიები;

ბ) ყოველთვიურ შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადებები/მდგომარეობები.

2. ყველა შეტყობინების კონფიდენციალურობა რეგულირდება „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ და „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონებით.

3. სამედიცინო საქმიანობის ყველა სუბიექტი, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმისა, მათ შორის ლაბორატორიები და კერძო პრაქტიკის მქონე ექიმები ვალდებული არიან შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადებების/მდგომარეობების (იხილეთ ცხრილი №1) დიაგნოზის დასმისას, მასზე ექვსის მიტანისას ან მხოლოდ ლაბორატორიული ანალიზის დადებითი შედეგის მიღებისას შეტყობინება გააგზავნონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივ სამსახურში სათანადო წესით.

4. ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი/მენეჯერი, მიუხედავად უწყებრივი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმისა (მ.შ.ინფექციური დაავადებების დიაგნოსტიკაში ჩართული ლაბორატორიები) პასუხისმგებელი არიან საკუთარი პერსონალისათვის შემთხვევათა შეტყობინებისა და ანგარიშგების მოთხოვნების შესახებ ინფორმირებულობაზე და მათ შესრულებაზე.

5. თუ სჯგ-ში მიღებულია სასწრაფო შეტყობინება შემთხვევის შესახებ, რომელიც დასნებოვნდა სხვა ტერიტორიაზე (მაგ. სხვა მუნიციპალიტეტში), ინფორმაციის შეტანა დზეის-ში უნდა განახორციელოს ექსპოზიციის სავარაუდო ადგილის სავალდებულო მითითებით. შეტყობინების მიმღებმა სჯგ-მა კერაში ზომების მისაღებად ინფორმაცია არა უგვიანეს 24 სთ-ისა უნდა გადასცეს შესაბამისი მუნიციპალიტეტის სჯგ-ს და უზრუნველყოს ინფორმაციის შემდგომი მოძრაობა. ინფორმაცია უნდა გადაიცეს ნებისმიერი ხელმისაწვდომი საშუალებით: დზეის, ტელეფონი, ელ-ფოსტა, ბარათი 58/1 სტრუქტურის შესაბამისად. სჯგ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე მოხდა დასნებოვნება ატარებს სათანადო ღონისძიებებს, დზეის-ში უკვე რეგისტრირებულ შემთხვევას და ამატებს კვლევის მონაცემებში.

6. საზ. ჯანდაცვის მიერ ანგარიშგებას დაქვემდებარებული ყველა დაავადება/მდგომარეობა ავტომატურად აგრეგირდება დზეის-ში. ცენტრის ხელმძღვანელი ვალდებულია ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვამდე გადაამოწმოს უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების IV-03 - ანგარიში ზოგიერთი დაავადების/მდგომარეობის შესახებ გენერირებული ფორმის სისწორე და დაადასტუროს ელექტრონულად. ხელმძღვანელის მიერ ელექტრონულად დაუდასტურებელი გენერირებული ფორმა ჩაითვლება ძალადაკარგულად.

7. შეტყობინებას/ანგარიშგებას დაქვემდებარებული დაავადებების/ მდგომარეობების ჩამონათვალი განისაზღვრება და არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით განახლდება დკსჯეც-ის მიერ.

მუხლი 9. სასწრაფო შეტყობინების მოთხოვნები

1. სასწრაფო შეტყობინება ნიშნავს დაავადების შესახებ ინფორმაციის სასწრაფო (იმავე სამუშაო დღეს, ნებისმიერ შემთხვევაში გამოვლენიდან არაუგვიანეს 24 სთ-ისა) გადაცემას საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ზედა რგოლისათვის დაავადების კლინიკურად ან ლაბორატორიულად გამოვლენისთანავე. გამომვლენი ვალდებულია ნებისმიერი

ხელმისაწვდომი საშუალებით (შეტყობინების ბარათი, ტელეფონი, ელ-ფოსტა) შეტყობინება გადასცეს მუნიციპალურ სჯც-ს, რომელიც თავის მხრივ ინფორმაციას გადასცემს (დზეის, ტელეფონი, ელ-ფოსტა) რეგიონალურ ან ცენტრალურ სამსახურებს (დკსჯეც,სამინისტრო).

2. ჯანმრთელობის საერთაშორისო წესებს დაქვემდებარებული და განსაკუთრებით საშიში პათოგენების (გსპ) ნუსხით დამტკიცებული ადამიანის დაავადების შემთხვევები ექვემდებარება დაუყოვნებლივ შეტყობინებას დკსჯე ცენტრში (განგაშის ყველა ხელთარსებული საშუალებით).

ცხრილი №1

შეტყობინების, ანგარიშგების და ეპიდკვლევის მოთხოვნები ნოზოლოგიების / მდგომარეობების მიხედვით				
	დასახელება	კოდი ICD-10	შეტყობინება	ეპიდკვლევის აუცილებლობა
1.	დიფთერია	A36	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
2.	ყივანახველა	A37	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
3.	ტეტანუსი	A33- A35	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
4.	მდდ/მწვავე პოლიომიელიტი	A80	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
5.	წითელა	B05	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
6.	წითურა	B06	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
7.	ყბაყურა	B26	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
8.	სხვა ვირუსული ჰეპატიტები	B17.0; B17.8	აგრეგირებული	ეპიდკვლევა არ ტარდება
9.	მწვავე ჰეპატიტი A	B15	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
10.	მწვავე ჰეპატიტი B	B16	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
11.	ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი B	B18.0; B18.1	აგრეგირებული	ეპიდაფეთქება 2 და მეტი შემთხვევით
12.	ჰეპატიტი C	B17.1 B18.2	შეტყობინება/ეპიდკვლევა ტარდება ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში	
13.	მწვავე ჰეპატიტი E	B17. 2	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
14.	ქოლერა	A00	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
15.	მუცლის ტიფი	A01.0	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
16.	სხვა სალმონელოზი	A02	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
17.	შიგელოზი	A03	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
18.	ენტეროკემორაგიული ემერიხიოზი	A04.3	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
19.	სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა	A05.9; T61;T64	აგრეგირებული	ეპიდაფეთქება 3 და მეტი შემთხვევით
20.	სოკოთი მოშხამვა	T62.0	აგრეგირებული	ეპიდაფეთქება 2 და მეტი შემთხვევით
21.	ბოტულიზმი	A05.1	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
22.	სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეები	A09	აგრეგირებული	ეპიდაფეთქება 3 და მეტი შემთხვევით
23.	შავი ჭირი	A20	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
24.	ტულარემია	A21	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
25.	ჯილეხი	A22	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
26.	ბრუცელოზი	A23	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
27.	ლაიმის დაავადება (ბორელიოზი)	A69.2	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
28.	პოქსვირუსებით გამოწვეული დაავადებები		1 შემთხვევა	1 შემთხვევა
29.	ყვავილი	B03	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
30.	Q ცხელება, პარტახტიანი ტიფი, ლაქოვანი ცხელება და სხვა რიკეტსიოზები	A75, A77, A78, A79	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
31.	ცოფი	A82	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
32.	ცოფის რისკის მქონე ექსპოზიცია	Z20.3	აგრეგირებული	ეპიდაფეთქება 2 და მეტი შემთხვევით

33.	სავარაუდო ვირუსული ჰემორაგიული ცხელებები	A90-A99; B33.4	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
34.	ჰანტავირუსული ინფექცია	A98.5; B33.4 (2010 წლის ადაპტაციით)	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
35.	ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება	A98.0	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
36.	ყვითელი ცხელება	A95	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
37.	დენგეს ცხელება/ დენგეს ჰემორაგიული ცხელება	A90; A91	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
38.	ლეპტოსპიროზი	A27	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
39.	ფრინველის გრიპი	J09 (2010 წლის ადაპტაციით)	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
40.	ქუნთრუშა	A38	აგრეგირებული	ეპიდემიოლოგიური 3 და მეტი შემთხვევით
41.	ჩუტყვავილა	B01	აგრეგირებული	ეპიდემიოლოგიური 5 და მეტი შემთხვევით
42.	ვირუსული მენინგიტი	A87	აგრეგირებული	ეპიდემიოლოგიური 3 და მეტი შემთხვევით
43.	ბაქტერიული მენინგიტი	G00-G00.9	აგრეგირებული	ეპიდემიოლოგიური 3 და მეტი შემთხვევით
44.	მენინგოკოკემია	A39.2; A39.3; A39.4	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
45.	N ^e .meN ⁱ N ⁱ g ⁱ dis გამოწვეული მენინგიტი	A39.0+	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
46.	Haemophilus IN ^{fl} .B გამოწვეული ინფექცია	A41.3; A49.2; B96.3; J14; J20.1	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
47.	Haemophilus IN ^{fl} .B გამოწვეული მენინგიტი	G00.0	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
48.	S.pN ^e umoN ⁱ ae გამოწვეული ინფექცია	M0.1; A40.3; I30.1	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
49.	S.pN ^e umoN ⁱ ae გამოწვ. მენინგიტი	G00.1	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
50.	M. tuberculosis გამოწვ. მენინგიტი	A17.0; A17.8	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
51.	აგრისშემდგომი უჩვეულო რეაქციები და გართულებები	Y58; Y59; Y64.1	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
52.	საშარდე გზების ნოზოკომიური ინფექცია	Y95 (N ^o 39.0)	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
53.	ნოზოკომიური პნევმონია	Y95 (J18.9)	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
54.	ნოზოკომიური ბაქტერიემია (სეფსისი)	A49.9	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
55.	ქირურგიული ჩარევის მიდამოს ინფექცია	T79.3, T81.4, O86.0	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
56.	15-49 წლის ასაკის ქალის სიკვდილი	-	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
57.	0-5 წლამდე ბავშვის სიკვდილი	-	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
58.	სიფილისი	A50-A53	აგრეგირებული	ეპიდემიოლოგიური არ ტარდება
59.	თანდაყოლილი სიფილისი	A50	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
59 ¹	სიფილისის შემთხვევა ორსულბში (შესამლო/სავარაუდო/დადასტურებული) (<i>12.09.2017 N01-58/5</i>)	-	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
60.	გონორეა	A54	აგრეგირებული	ეპიდემიოლოგიური არ ტარდება
61.	ქლამიდიოზი	A56	აგრეგირებული	ეპიდემიოლოგიური არ ტარდება
62.	აივ -შიდსზე ტესტირებული*	----	აგრეგირებული	ეპიდემიოლოგიური არ ტარდება
63.	აივ -შიდსზე ტესტირებული ორსულბში*	----	აგრეგირებული	ეპიდემიოლოგიური არ ტარდება
64.	ტუბერკულოზი	A15-A19	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
65.	ლეიშმანიოზი	B55	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
66.	ექინოკოკოზი	B67	აგრეგირებული	ეპიდემიოლოგიური არ ტარდება
67.	მალარია	B50- B54	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
68.	ტრიქინელოზი	B75	1 შემთხვევა	1 შემთხვევა
69.	ამეზიოზი	A06	აგრეგირებული	ეპიდემიოლოგიური 3 და მეტი შემთხვევით
70.	ფასციოლოზი	B66.3	აგრეგირებული	ეპიდემიოლოგიური არ ტარდება

71.	შხამიანი ქვეწარმავლის ნაკბენი	T63.0;T63.1	აგრეგირებული	ეპიდკვლევა არ ტარდება
72.	სხივური დაზიანებები	W8; W91	1 შემთხვევა	ეპიდკვლევას აწარმოებს გარემოს დაცვის სამინისტრო

***- აივ-შიდსის სკრინინგული ტესტირება სწრაფი-მარტივი ან იმუნოფერმენტული ანალიზის(იფა) მეთოდით.**

3. სასწრაფო შეტყობინებას ექვემდებარება აგრეგირებულ შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადებების ჯგუფური შემთხვევები.

4. საზ. ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა დონეზე ეპიდაფეთქებათა სასწრაფო შეტყობინების ტელეფონოგრამით გადაცემისას, დაშვებულია ინფორმაცია გადაიცეს მოკლე სახით (გვარ-სახელის მითითების გარეშე), დიაგნოზის, შემთხვევათა რაოდენობის, ასაკობრივი ჯგუფების მითითებით.

5. ეპიდკვლევა უნდა დაიწყოს შეტყობინებიდან არაუგვიანეს 72 საათისა საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის დაავადების მნიშვნელობიდან გამომდინარე.

6. ადამიანის ზოონოზური და სურსათით გამოწვეული დაავადებების (მათ შორის, ბოტულიზმი - 1 შემთხვევა, სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვები-ეპიდაფეთქება) შემთხვევების შესახებ შეტყობინება ხორციელდება „ინფექციურ დაავადებებზე, მათ შორის, განსაკუთრებით საშიში პათოგენებით გამოწვეულ დაავადებებზე, ეპიდზედამხედველობის ინტეგრირებული ეროვნული სისტემის ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ივლისის №336 დადგენილებით განსაზღვრული ეპიდზედამხედველობის ინტეგრირებულ ეროვნულ სისტემაში მონაწილე ორგანოებს შორის ურთიერთინფორმირებულობის წესის შესაბამისად.

7. **ეპიდაფეთქება** - (ეპიდემიური აფეთქება) მოსახლეობის შეზღუდულ რაოდენობაში გადამდები დაავადების ახალი შემთხვევების სიხშირის მკვეთრი ზრდა ხანმოკლე პერიოდში (კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ). საქართველოში ტერმინი გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ერთ ან რამდენიმე დასახლებულ უბანში/პუნქტში, ან მუნიციპალიტეტში, ან რეგიონში, ან ქვეყანაში აღირიცხება მსგავსი კლინიკით და სავარაუდოდ ერთმანეთთან დაკავშირებული, ან ერთი ფაქტორით/წყაროთი განპირობებული დაავადების 2 და/ან მეტი შემთხვევა.

მუხლი 10. სასწრაფო შეტყობინების ბარათი (ფორმა №58/1)

1. სასწრაფო შეტყობინების ბარათი №58/1 (ერთნაირი ფორმატით) გამოიყენება ჯანდაცვის სისტემის ყველა დონეზე. მას ავსებს:

ა) ჯანდაცვის პერსონალი, რომელმაც ეჭვი მიიტანა ან გამოავლინა ცხრილში №1-ში მითითებული რომელიმე დაავადების კლინიკური ან დადასტურებული შემთხვევა;

ბ) ჯანდაცვის პერსონალი, რომელმაც დაადასტურა ან რომელიც უფლებამოსილია შეატყობინოს 15-49 წლის ასაკის ქალის და 0-5 წლის ბავშვის ნებისმიერი მიზეზით სიკვდილის შემთხვევა;

გ) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის გაგზავნას ეპიდზედამხედველობის სისტემის ზედა დონეებზე.

კონფიდენციალური		სასწრაფო შეტყობინების ბარათი - №58/1		
